№ 57 | 1877 – 1897 | № 57

სამშაბათი, 25 მარტი 1897 წ.

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სამშაბათი, 25 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნიკოლოოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი, ანასტასია თადეოზის ასული ბურჯანაძისა** და **მარიამ თადეოზის ასული დათოშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავისის დედისას, მღვდელ თადეოზ ხიზანაშვილის ქვრივის **მაგდანისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ ნიკოლოოზ ხიზანაშვილის სადგომში, პანასევიჩის ქუჩაზედ, № 19, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება ოთხშაბათს, 26 მარტს, დილის 9 საათზედ, ტფილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიაში ანდერძის ასაგებადა და დასაკრძალავად.

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება დღეს, 25 მარტს, ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 7 საათზედ. (1—3—1)

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 მარტს.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს 26 მარტს,

ქართულის დრამატიული დასის არტისტების მიერ, სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

I

**მზის დაბნელება საქართველოში**

კომ. 3 მოქ. თხზ. ანტონოვისა.

II

**ძალზე იელდა ქალა**

კომ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

დასასრულ **ლეკური**

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, ნიკოლაშვილისა, რჩეულოვისა, კუნდელი. ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: პორუჩიკებს კავკასიის სათადარიგო ცხენოსანთა რაზმისას თავად ჭავჭავაძეს, კავკასიის ოლქის ჯარების უფროსის ადიუტანტს თავადს გურიელს, ამავე თანამდებობაში დატოვებით, თავ. მაყაშვილს და თავ. აბაშიძეს—შტაბს-როტმისტრობა.

ტფილისის სათადარიგო რაზმის შტაბს კაპიტანს ვარდანაშვილს—კაპიტნობა და ამასთან დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო მუნდირითა და პენსიით.

## ახალი ამბავი

⁂ კვირას, 23 მარტს, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში წლიური აქტი შესდგა, რომელზედაც დაესწრო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი, კავკასიის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი სენატორი თავ. გ. ს. გოლიცინი, მის თანაშეწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, გენერალი კავალერიისა თავ. ი. გ. ამილახვარი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე და მრავალნი სხვანი. ამ გიმნაზიის დირექტორის მიერ წაკითხულს ანგარიშიდგანა სჩანს, სხვათა შორის, რომ ამ უკანასკნელს ორი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი რუსებისა და სომხებისა დაჰკლებია, მხოლოდ ქართველთა მოსწავლეთა რიცხვი შარშან 4% და წელს ½% მოჰმატებია. კარგი ყოფა-ქცევისა და სწავლისათვის პირველი ხარისხის ჯილდოები, სხვათა შორის, მიიღო ექვსმა ქართველმა მოსწავლემ: მერვე კლასისამ: დავით უთნელიშვილმა, მეშვიდისამ—კონსტანტინე ჩერქეზიშვილმა, მეხუთე—სიმონ გძელიშვილმა, და მეორე კლასისამ—ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა, ვახტანგ ზარაფიშვილმა და ილია სეხნიაშვილმა. აქტის შემდეგ კავკასიის მთავარმართებელმა სენატორ თავ. გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა გიმნაზია. აქტი გათავდა ნაშუადღევის 3½ საათზედ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ნაალდგომევს ტფილისს ჩამოდის პოლონელების ოპერეტის არტისტების დასი, რომელიც გაზაფხულიდგან დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

⁂ გუშინ ნავთლუღში ერთს ხევში იპოვნეს ვიღაც ჯარის-კაცის უსულო გვამი.

⁂ ერთს სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ: კიევში გარდაცვლილა სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი. განსვენებულმა 1893 წ. ქუთაისის კლასიკურს გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა და მაშინვე ძლიერ ავად გახდა, სიკვდილს მაშინ-კი გადარჩა, მაგრამ ავადმყოფობამ მასს თავისი დაღი მაინც დაასვა. დავითი თუმცა ჯანის სისუსტეს-კი ჰგრძნობდა, მაგრამ უმაღლესის სწავლის წყურვილმა ისე გაიტაცა, რომ რუსეთში წასვლა არ დაიშალა.

მშობლები განსვენებულის ცხედრის წამოსვენებას აპირობენ, მაგრამ რადგან ხელმოკლეობა აბრკოლებთ, კიევის სტუდენტები ქიათურის საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ, და ჭიათურაში იასონ ქადაგიძის თაოსნობით ხელის მოწერა გაუმართავთ.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, მაზრის უფროსებს, ტფილისის პოლიცმეისტერს და გუბერნიის სხვა ქალაქების მოურავებს, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, ამიერიდგან აღარ მიიღება ქალაქებისაგან და სხვა-და-სხვა საზოგადოების მიერ მოძღვნილი ძვირფასი ნივთები და მსურველთ შეუძლიანთ მხოლოდ წმ. ხატი და პურმარილი მიართვანო. რაც შეეხება ქვეშევრდომობის ნიშნად შეწირულებას, ამ გვარი შეწირულება უნდა გარდაეცეს ადგილობრივ საქველმოქმედო დაწესებულებათაო.

⁂ 20 მარტს კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დარბაზში იმავე გზის მომხმარებელი საზოგადოების წევრთა რწმუნების წლიური კრება იყო, რომელსაც ბ-ნი ტ. ი. აკორენკო თავმჯდომარეობდა. კრებამ პირველად წარსულის წლის ანგარიში დაამტკიცა. როგორც ზვდამხედველი კამიტეტის ანგარიშიდგან აღმოჩნდა, საზოგადოებას შარშან 350,000 მან. სხვა-და-სხვა საქონელი გაუყიდნია, რომელთაგან საერთო მოგება 65,000 მან. ყოფილა, ხოლო წმიდა მოგება-კი 5000 მან. ხარჯთ აღრიცხვაში 5000 მან. ყოფილა ნაანგარიშევი ის საქონელი, რომელიც ან გაფუჭდებოდა, ან დაიმტვრევოდა, ან დაილვრებოდა და სხ., ნამდვილად-კი 16,000 მან. საქონელი დაჰკლებიათ. ეს იმით აიხსნებაო, ნათქვამია ანგარიშში, რომ ეს საზოგადოება ჯერ ახალი საქმეა ჩვენთვის და, ამას გარდა, არც ნოქრები მოჰკიდებიან საქმეს სინდისიერადაო. ანგარიშის განხილვის

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

დედავ, მე შენი ამაგი,
რა ვქნა, რით გადაგიხადო,
რაც ჩემზე ჭირი გინახავს,
რომელ სიკეთით გიხადო?
ნეტავი შეიძლებოდეს,
რომ სული ამოვიხადო
და შენთან მოსულს სიკვდილსა
ვალი მე გადავუხადო.

დ. მაჩხანელი

### ხრიკების ხუხულა

ბ-ნი გ. წერეთლისა.

(შემდეგი *)

ჩვენ არც ამდენს ყურადღებას მივაქცევდით ბ-ნი წერეთლის წერილსა და არც ამოდენა დროს დავკარგავდით მისს გამტყუნებაში, თუ რომ მეორე უწყებაშიაც მისი გავლენის წყალობით მკვდრეთით არ ამდგარიყო ამ ბოლოს ხანს იმისთანა მავნე და უკუღმართი აზრი ქართულის ენის სწავლების შესახებ, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ კარგა ხანია შეერთებული ძალით დამარხა.—მაშ განვაგრძოთ ჩვენი სიტყვა.

რად გვინდოდა, რომ ქართული სახელმძღვანელონი, რომელთა შედგენა ჩვენთვის ადვილი იყო და არის, სხვა განვითარებულს ქართველებს შეედგინათ? ერთი მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ ჩვენ არ გვინდოდა, მარტონი ვყოფილიყავით ბრძოლაში იმ შავის ბედის წინააღმდეგ, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვებოდა ხალხის განათლებას ჩვენში. ჩვენა ვფიქრობდით, რომ სახელმძღვანელოების შემადგენელნი მხურვალე მონაწილეობას მიიღებდნენ პედაგოგიურის პრინციპების დაცვაში, გაუმკლავდებოდნენ უკუღმართ ქარსა, ფესვებზედ იზრუნავდნენ და ტვირთს შეგვიმსუბუქებდნენ. ასე ვფიქრობდი იმის გამო, რომ ეს ქარი მათ ნაწარმოებსაც ემუქრებოდა გაუქმებასა, გაქრობასა. ხოლო რამდენად აგვისრულდა ეს მოლოდინი, გვერდში ამოგვიდგა ვინმე, თუ ამ მძიმე ულლის წევაში თითქმის მარტონი დავრჩით, ამის გადაწყვეტა მიგვინდვია თვითონ მკითხველისათვის. ამ მიზეზითვე აიხსნება ის მოვლენა, თუ რად ვეწინააღმდეგებით იმ უვიცი პირების კუნტრუშს განათლების სფერაში, რომელნიც მხოლოდ ცულდის ტარად გამოდგებოდნენ უკუღმართთა ხელში.

სხვა მიზეზიც მოქმედებდა აქა. ჩვენი სამშობლო ისე პატარაა და განათლების მიმდევარი ისე მცირეა, რომ აქ შეუძლიან იცოცხლოს სრული სიცოცხლით მხოლოდ თითო სახელმძღვანელომ ამა, თუ იმა საგნისამა. ამიტომ თუ რომელიმე სახელმძღვანელო შესაბამია და იაფი, მას მეტოქეს არც ერთი კეთილგონიერი ქართველი არ გაუჩენს, თუ იგი მეტოქე არა სჯობიან არსებულს წიგნსა და არ შეუძლიან მთლად დაიპიროს მისი ადგილი უფრო მეტი სარგებლობით საზოგადოებისათვის. ავიღოთ, მაგალითად, „დედა-ენა“. იგი დიდი წიგნია და ფასი კი პატარა აძევს, რად? იმიტომ, რომ ბევრი იბეჭდება და იყიდება. შეამცირეთ მისი გასავალი რომელიმე მდარე წიგნაკის მეტოქეობით და მაშინ „დედა-ენა“ ან უნდა დაპატარავდეს, ან ფასმა მისმა იმატოს. და ამ ორივე შემთხვევაში წაგებაში იქმნება საზოგადოება.

აი რა მიზეზით ჩვენ ვერიდებოდით მეტოქობა გაგვეწია მათთვის, ვინც დაგვასწრებდა ხოლმე რიგიანის სახელმძღვანელოს შედგენას, თუმცა სრულს შეძლებას გვაძლევდა ამ მეტოქობისათვის ის გარემოება, რომ მთელის თორმეტის წლის განმავლობაში პირადად გვისწავლებია სხვა-და-სხვა საგნები მოსამზადებელი კლასიდგან დაწყებული მეექვსე კლასამდე.

მაშ საიდგან მოაჰორა ბ-ნმა წერეთელმა, ვითომც ჩვენ ვუშლიდეთ ქართველს პედაგოგებს ქართულის სახელმძღვანელოების შედგენასა? საიდგან და იქიდგან, რომ თავისი საკუთარი ბუნების ძირითადი თვისება ჩვენ გადმოგვაბრალა, ის თვისება, რომლის წყალობით იგი ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება ყოველს საზოგადო საქმეს და საზოგადო მოღვაწეს, თუ ამას მოითხოვდა და მოითხოვს მისი პირადი ინტერესი, პირადი ვნება.

ამის დასამტკიცებელი ფაქტები იმდენია, რომ ვეებერთელა ცალკე წერილი გაიჭიკნება და ამიტომ ამ ჟამად გვერდი უნდა ავუქციოთ მათ დასახელებას და განმარტებასა.

ისე დამღუპველი და დამამხობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში, ძებნა პირადი ინტერესისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოებისა,—მეტადრე იქ, სადაც დედა-ენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულებულს გერსა. პირი, ანგარებით გამოწვეული ამ ასპარეზზედ, ვნების მეტს არას მოიტანს. აქ საჭიროა მოქმედება იმისთანა მოღვაწეობისა, რომელნიც მონანი არიან თავისი წმინდა მოვალეობისა, პრინციპების დროშა მაღლა უჭირავთ და ხალხში სინათლის მოფენა არის მთავარი მიზანი მათის მისწრაფებისა. ბ-ნი გიორგი წერეთელი ამისთანა პირებს როდი იწვევს ხალხის განათლების სარბიელზედ. იგი უხმობს იმათ, ვინც სახსრის გაძლიერებაზედ ფიქრობს, ცხოვრების წყაროს ეძებს, გამსჭვალულია ფულის ინტერესით. იგი ეუბნება: „იხმარეთ სახალხო ლექსები ისე, როგორც ბ-ნ გოგებაშვილს

*) იხილეთ „ივერია“ № 16.

შემდეგ საზოგადოების გამგეობის წევრებად აირჩიეს: ბ-ნნი პავლოვი, ბორშჩევიჩი, ნიკოლსკი და გორბენკო და კანდიდატად ნ. ლეონოვი.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე თავ. ნ. ჭავჭავაძე ამ დღეებში პეტერბურგს მიდის.

*** მტკვარი თან-და-თან ჰმატულობს; ძირიანად ამოგლეჯილი ხეები, ტივები, შეშა და სხ. მოაქვს წყალს.

*** 23 მარტს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა კრება იყო ქალაქის საბჭოს დარბაზში. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კ. მ. ალიხანოვი. კრებამ განიხილა ბანკის მმართველობის წლიური ანგარიში და ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა. თანახმად ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებისა კრებამ გადასდო ჯილდოდ მმართველობის კანცელარიის მოხელეთათვის, რომელთაც საზოგადოება არ ირჩევს, 3,000 მან. შემდეგ კრებამ მოისმინა ა. ღ. ტურკოვსკის აზრი იმის შესახებ, რომ ოსმალეთიდგან ამიერ კავკასიაში გამოქცეულ სომეხთ ბანკმა შესწიროს რამეო. კრებამ გარდასწყვიტა მიეცეთ 5000 მანათი.
შემდეგ კენჭი ჩამოატარეს და აირჩიეს: დირექტორად ნ. ზ. მირზოევი, დირექტორის კენდიდატებად ვ. ი. ყორღანოვი და ა. პ. ზავრიევი; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად—ი. ა, თაიროვი და ი. ი. გურგენბეგოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ი. ა. ტერ-აკოფოვი, ს. მ. ენიკოლოფოვი და ი. მ. ხუდადოვი.

*** აქაური გაზეთები გვაუწყებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის მართველობამ ბ-ნ ოქრომჭედლიშვილსა და თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილს ნება დართო,—სამტრედიასა და კოპიტნარის სადგურთ შუა მოყოლილ რკინის გზიდგან სოფ. მათხოჯსა და მდ.ცხენის-წყლამდის ადგილი გამოარკვიონ, სადაც მათ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა უნდა გაიყვანონო.

*** როგორც „კავკაზი“ გვაუწყებს, კავკასიაში კარგის ჯიშის ცხენების მოშენების ხელის შემწყობი საზოგადოება მიმდინარე წლიდგან წელიწადში ორჯელ გაჰმართავს დოღს: გაზაფხულსა და შემოდგომაზედ. წრეულს, გაზაფხულზედ ხსენებული საზოგადოება, გარდა იმისა, რომ დიდუბეში მარულასა ჰმართავს, იმ თითო წლის კვიცებისა და წლისა და მეტის ულაყებისა და ჭაკების გამოფენაც ექნება, რომელნიც კავკასიაში დაბადებულან.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება ნაადდგომევს იქნება მოწვეული. საზოგადოების ანგარიშის განხილვის გარდა, კრებამ უნდა ამოირჩიოს პრეზიდენტი საზოგადოებისა, წინანდელ პრეზიდენტის გენერალ-ადიუტანტის ს. ა. შერემეტევის გარდაცვალებისა გამო, და საბჭოს ორი წევრი, თავ. ანდრონიკაშვილის მაგიერ, რომელიც სამსახურის ვადის შესრულების გამო ანებებს თავს, და ტიმოფეევისა, რომელმაც თვითვე განუცხადა უარი.

*** ქუთაისის კამიტეტს, რომელიც იმ განზრახვით შესდგა, რომ 1895—1896 წ. წყალ დიდობისა და ცუდის ზამთრისაგან დაზარალებულს ხალხს შემწეობა აღმოუჩინოს, კნეინა მარ. ალ. შერვაშიძისაგან ასი თუმანი მისვლია, რომელიც ტფილისის კამიტეტმა შეაგროვა. როგორც ვიცით, ტფილისის კომიტეტისაგან ქუთაისის კომიტეტმა ამაზედ წინად კიდევ 6,063 მან. 25 კაპ. მიიღო. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი შალიკოვი კნეინა შერვაშიძისას და ტფილისის კამიტეტის დანაშთენს წევრთ დიდს მადლობას უძღვნის.

*** სოფ. შხეფი, (სენაკის მაზრა). ჩვენს საზოგადოებაში თავი იჩინა ყვავილმა—„ბატონებმა.“ ამ სენმა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი უკვე იმსხვერპლა, რომლის სიკვდილმა დიდად შეაწუხა აქაურები. იმის შემდეგ თუმცა-ღა ჯერ არავინ მომკვდარა, მაგრამ მაინც სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ამცრელი გამოგზავნოს, მით უფრო, როდესაც ეს სენი არ არის გავრცელებული და აცრაც ჰშველის ხოლმე ამ სენსა... მარტის თვის ქება დიდება, რაც თქმულა, ყოველივე გამართლდა. დადგა თუ არა, მაშინვე ცუდი ამინდები დაიჭირა. ბუნება დღეში პატარძალივით ასჯერ იცვლება. ხან ჭინჭყლიანი დღეები, ხან ქარ ბუქი და ხან კოკა-პირული წვიმები თავს არ გვანებებს. პირუტყვებისთვის საკვები შემოლეული გვაქვს და არ ვიცით, თუ ამინდებმა ასე გასტანა მარტში, რითი გამოვკვებოთ საქონელი...

*** ბელგიის საზოგადოებას, რომელიც ტყიბულში ქვა-ნახშირს აწარმოებდა მრავალ პატივსადებ მიზეზისა გამო მუშაობისთვის თავი დაუნებებია. მადანში მომუშავე ხუთასამდის კაცი უმუშაოდ დარჩენილა და მათი მდგომარეობა თურმე სწორედ რომ შესაბრალისია. საქმე ის არის, რომ მუშებს 30.000 მანეთამდის ფული ერგებათ თურმე, მაგრამ საქმის მწარმოებლები მიცემას ერთობ აგვიანებენ. საქმეში ადგილობრივი პოლიცია ჩარეულა, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა, რადგან საზოგადოების წარმომადგენელნი ღონისძიებას მოკლებულნი არიან მუშებს ანგარიში გაუსწორონ, სანამ საზოგადოების გამგეობის წევრი ბ-ნი რეშეტკინი არ ჩამოვა პეტერბურგიდგან. („ტფ. ფურც.“)

*** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მიწად-მოქმედების რწმუნებულმა ბ-ნ მედვედევმა ხსენებულს სამინისტროს სთხოვა, რომ ნება დართეთ,—ფილოქსერის საქმის განსახილველად 26 მარტს სამინისტროში დანიშნულს კრებას დაესწროს აგრონომი თავ. ანდრონიკაშვილიო. როგორც ,,ტიფ. ფურც.'' გვაუწყებს, სამინისტროს ბ ნ მედვედევის თხოვნა არ შეუწყნარებიაო.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა). წარსულის წლის გიორგობის თვის პირველს რიცხვებში, როგორც „ივერიაში“ გვქონდა მოხსენებული, ხუმელაგში მოკლეს ერთი ქიშტი ქურდობის დროს. ქიშტების ჩვეულებისამებრ, თუ სისხლი არ აიღეს ძაან დიდი სირცხვილია. ასეც მოიქცენ ქიშტები. წარსულის წლის გიორგობისთვის ათში ყაას-პოლა-ციდულოვი უგზოთ დაიკარგა; ვეღარ გაიგეს მისი ასავალ-დასავალი, თუმცა ბევრი ეძებეს როგორც ნათესავებმა, ისე მთავრობამ. ამა მარტს-კი ხუმელაგის სოფლის ბოლოში იპოვნეს საბრალო ყასპოლა მკვდარი. როგორც აღმოჩნდა ქიშტებს მოეკლათ და როცა ხუმელაგელებმა თავიანთი მკვდარი მისცეს ქიშტებს, იმათაც მოეტანათ და გადმოეგდოთ სოფლის განაპირას, ამ დრომდე-კი დამალული ჰქონოდათ. საბრალოსათვის ორი ტყვია ზურგში მოერტყათ და ხანჯლით დაესხიპათ ხელები.
ამ სოფელს სახადმა დიდი ზარალი მისცა. ამ ჟამად-კი ცოტა განელდა სენი და ისე აღარ აზარალებს მცხოვრებთ.

*** ქ. გორი. 20 მარტს მტკვარი საშინლად მოვარდა, მოჰგლიჯა ბორანის მისადგომი ბოგირი და ურმების სიარული შეჩერებულია; ჯერ სულ ნაკლებად გამოჰქონდათ გაღმამხრელ გლეხებს გორში შეშა და ეხლა თითქმის ნახევარნი მცხოვრებნი უშეშობით არიან შეწუხებულნი. ბორნის ბიჭების თავ-გასულობას ხომ საზღვარი აღარა აქვს. ისე ვერ გამოვა აქეთ მხარეს ურემი, რომ გამოყვანაში ძალით არა წაართვან-რა საწყალ გლეხებს: მაგალითად, აცლიან თითო ურემს ორს ანუ სამ ღერს შეშას, თუ ფიჩხი გამოაქვთ იღებენ თითო კონას, კირის ურემს თითო კირის ქვას და სხვანი. ერთის სიტყვით, ეს ვაჟბატონები ისე იქცევიან, თითქოს შრომის ფასი არ ეძლეოდეთ. კარგი იქნებოდა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ უსამართლო მოქმედებას და აუკრძალოს გლეხთა ძარცვა-გლეჯა თავგასულ ვაჟბატონებს.

*** ს. ჯუმათი (ოზურგეთის მაზრა). არა გვეშველა-რა, ვერ გავიდა სოფლის ხალხი მინდვრად სამუშაოდა. რაც მარტი დადგა, ვერ მოვისვენეთ გამუდმებული თოვლ-ჭყაპისა და წვიმა-ავდრისაგან. ნაღვლიანად შევცქერით ცას და ველით გამოდარებას.
მაგრამ როცა იქნება ხომ გამოიდარებს და მგონი კაი დღე არც მაშინ დაგვადგება. სოფელში სკოლის მახლობლად ერთი დიდი ტბაა, რომელსაც „ტბა-შავას“ ეძახიან და კარგს ხეირს არავის დააყრის ტბის მყრალი და აშმორებული სუნი. ამოშრობა-კი ადვილია და ამ შავი ჭირის ლოდინში მაინც, იმედია, ჩვენი მამასახლისი ე. გოგუა თავს გამოიდებს და ამოაშრობინებს, თორემ თქვენი მტერი, კაი დღე ჩვენ არ დაგვადგება, თუ შავა ჭირი გვეწვია.

*** 22 მარტს, ორთაჭალაში, ვირის ხიდის ქვემოდგან, მდინარე მტკვარში მეთევზეებმა დაიჭირეს უკვე გახრწნილი გვამი, რომელიც, როგორც ეტყობა, ყაზანის თათარისა უნდა იყოს, ასე 40 წლის კაცისა. გვამი საანატომიო თეატრში წაიღეს.

*** 22 მარტს, საღამოს 4 საათზე, აზიის ბუფეტში, ზაბურაშვილის სახლებში, გოლოვინის პროსპექტზე, მზარეულის თანაშემწემ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელმა მალაქია ოსიშვილმა ჩხუბის დროს მარჯვენა გვერდში დაჰკრა დანა იმავე ბუფეტის მოსამსახურეს ილიკო ლაშხს. ლაშხი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს და ჭრილობა საშიშარი აღმოჩნდა. მალაქია ოსიშვილი დაპატიმრებულია და სამართალში იქმნა მიცემული.

*** 23 მარტს მე-6 ნაწილში სუმბათაშვილის ვიწრო ქუჩაში ტფილისის მოქალაქე საქულა ბალდასარაშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა უზნეო-დედაკაცი ლიზა ამიგოვისა. დანა ბარძაყშია აქვს დაკრული. ჭრილობა საშიშარი არ არის.

## ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

23 მარტი.

კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მდივნად თავ. ნ. მ. ჯორჯაძე. კრებამ ერთხმად დაამტკიცა წლიური ანგარიში საზოგადოებისა და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა 1897 წლისა. შემდეგ კრებამ მოისმინა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ სათადარიგო თანხა დაარსდეს და წევრთ წლიურად 1% შემოიტანონ ხოლმე ამ თანხისათვისაო. წესდებით-კი მოგებიდგან უნდა გადაიდოს 10% ასეთის თანხის შესადგენად. კრებამ დაადგინა,

---

უხმარია თავის სახელმძღვანელოებში, ბეჭდეთ ხალხური არაკები, პატარ-პატარა მოთხრობები, გადმოაკეთეთ ისინი რუსული საპედაგოგო ლიტერატურიდგან ისე, როგორც გოგებაშვილი შვრება, (ესე იგი სცარცვეთ „დედა-ენა“, საკუთარს მასალას ნუ შეაგროვებთ) იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ასში ერთმა მაინც წინ წაუსწროს ბ-ნს იაკობ გოგებაშვილსა და თქვენი ნაწარმოებით ცხოვრების წყარო გაიხსნოთ.

უყურეთ, რა დაბალ ინსტიქტზედ ასხამს ნავთსა და რა დაბალს მისწრაფებას აპრიალებს! ის როდი-ღა ახსოვს, რომ ვინც ამ ასპარეზზედ გამოდის ცხოვრების წყაროს გასაჩენად, იგი უთუოდ იარაღად და მონად გახდება იმ ქარისა, რომელზედაც არის დამოკიდებული გზის გახსნა წიგნებისათვის და რომლის მიმართულება კარგად ვიცით. აღარც ის აგონდება, რომ თვითონ ბ-ნს გიორგი წერეთელს ამ კუჭის პრინციპმა ბევრი არა საქები საქციელი ჩაადენინა. სწორედ ამ კუჭის პრინციპმა გახადა ის მოსარჩლედ ბ-ნი ჩიკოიძისა, რომელმაც ისე შეუწყო ხელი დემორალიზაციას დასავლეთ საქართველოში და ქუთაისის სააზნაურო ბანკი თითქმის გაუქმებამდე მიიყვანა. ამავე პრინციპმა ალანძღვინა მას „კვალის“ დაარსების შემდეგ „ივერიაც“ და „მოამბეც“, მანვე აკადრებინა მას კიცხვით და ლანძღვით დახვედროდა „ცნობის ფურცლის“ დაარსებას, მაშინ როდესაც სხვა ყველა გამოცემანი სიხარულით მიეგებნენ ახალს მოძმესა. ამავე პრინციპმა დაატოვებინა მას ორივე მისი ჟურნალი და შეატოპინა კომერციაში, და სხვანი და ხვანი.

თუ ამისთანა რამეები ჩაადენინა კუჭის პრინციპმა თვით ბ-ნს წერეთელს, რამდენად მეტს ღვარძლს დაათესინებს იმათ, ვინც ბევრად ღატაკნი არიან ჩვენს მეცნიერებაზედ ცოდნით, განათლებით და მისწრაფებით“.

ჩვენი ლიტერატურა, როგორც ყველას მოეხსენება, ძლიერ ღარიბია. არ გვაქვს არც გეოგრაფია, არც მსოფლიო ისტორია, არც ბოტანიკა, არც ზოოლოგია, არც ფიზიკა, არც ხიმია, არც სალიტერატურო ქრისტომატია, ერთი სიტყვით თითქმის არც ერთი საგნის სახელმძღვანელო. ჩვენი მოწინააღმდეგე ამ გულისაკლავის ნაკლის შესავსებლად კი არ უხმობს მასწავლებლებს და პედაგოგებს; ეს საქმეზედ ზრუნვა იქნებოდა, და ბ-ნი წერეთელი კი ჯიბრს დაუტყვევბია. არც ის აწუხებს მას, რომ მისს სამშობლოში ქართულმა ენამ თორმეტი კანონიერი მაკვეთალიდგან კვირაში დაჰკარგა ათი და შერჩა მხოლოდ ორი, რის გამოც ჩვენ მწიგნობრობის და ლიტერატურას ფესვები ეცლება ძირიდგან. იგი მთელს ასს კაცს იწვევს (ამაზედ მეტი მთელს საქართველოში არც კი მოიპოვება) საომრად „დედა-ენის“ წინააღმდეგ და ვალად ადებს: ყველაფერი დაივიწყეთ, ასი მეტოქე გაუჩინეთ „დედა-ენას“, ეგები ერთი მაინც უკეთესი აღმოჩნდესო. იმას როდიღა ფიქრობს, რომ ამ ასში სულ ტყუილად იშრომებს 99 კაცი და გაიმარჯვებს მხოლოდ ის, რომელიც ,ყველაზედ უარესს, ულატაკესს წიგნაკს გამოსცემს და მთლად დააკმაყოფილებს ერთს გვარს სურვილსა.

ახლა ვკითხოთ: რა დაუშავებია „დედა-ენასა“? იქმნება ჩვენი მოწინააღმდეგე მას მდარე წიგნად სთვლიდეს? სრულიადაც არა. იგიც ისე მაღლა აყენებს ამ წიგნსა, რომ, მისი სიტყვით, მხოლოდ იქნება ასში ერთმა პედაგოგმა შეადგინოს უკეთესი, ისიც მაშინ, თუ ღმერთი დაეხმარება, მოხედავსო. მაშ რა მიზეზია ამ მტრობისა? რად ავრცელებს „კვალის“ ფურცლებიდგან „დედა-ენის“ შესახებ თავისი გზირის კალმით იმისთანა მავნე ჭორსა, ვითომც ეს წიგნი ხალხური სიმღერით: „მოდი ვნახო ვენახი“ ქადაგებდეს ერთმანეთის ჭამასა, დარვინის თეორიასა“.—რად აძლევს ცრუ საბუთს ხელში მათ, რომელთაც „დედა-ენა“ არ ეპრიანებათ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ დიდი წიგნიაო? „დედა-ენას“ აქვს ერთი დიდი ნაკლულევანება: იგი შედგენილია იაკობ გოგებაშვილისაგან და სათავეა მისი წიგნებისა. ხოლო გოგებაშვილს თურმე მიუძღვის „კვალის“ წინაშე საშინელი დანაშაულობა. რაში მდგომარეობს იგი? ამის პასუხს ერთი პატარა ისტორია მოგცემთ.

ვხედავდი რა სხვებთან ერთად საცოდავს მდგომარეობას „ჯეჯილისას“, წარსულს ზაფხულს დავივიწყე ყოველი უსიამოვნება, „კვალის“ მიერ მოყვანილი, და გავუგზავნე ერთი საყმაწვილო მოთხრობა: „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ ჩვენს საბავშო ჟურნალში დასაბეჭრად. მოწადინებული ვიყავი შემდეგშიაც მებეჭდა მასში საყმაწვილო მოთხრობანი, გამეახლებინა ჩემი თანამშრომლობა. რამდენსამე დღეს შემდეგ მე მივიღე უკანვე მოთხრობა ორ-გვარი პასუხით. ქალბატონს შემოეთვალა: თქვენ არავის აძლევთ ნებას ენას შეეხონ, ჩვენ კი უცვლელად არავის ვუბეჭდავთ ამ ბოლოს ხანებშიო. ბატონისაგან კი უფრო გულ-წრფელმა და საგულისხმიერო პასუხმა მოახწია ჩემამდის: „მან ქვეყანაში თავი მომჭრა, ახლა ოთხრობას მიგზავნისო“.

აი თურმე რაში მდგომარეობს ჩვენი მიუტოვებელი დანაშაულობა! ბ-ნი წერეთელი ივიწყებს რომ იმან იძულებული გამხადა ერთი

საზოგადოების გამგეობას მიენდოს ცალკე მოხსენება შეადგინოს იმის შესახებ, თუ რა წესით უფრო უკეთესი იქნება სათადარიგო თანხის შედგენაო.

წაკითხულ იქმნა განცხადება ამ საზოგადოების 15 წევრისა, რომელთა უმეტესობა სასტუმროების პატრონნი და სხვა წვრილმანი ვაჭარნი არიან. ესენი სთხოვდნენ საზოგადოებას, რომ რადგან გამგეობის წევრის თავ. ვ. ს. მიქელაძისა და საბჭოს წევრთა ი. ვ. საგინაშვილისა, ნ. თ. ხიზანაშვილისა და ი. გ. თულაშვილის მოღვაწეობას საზოგადოებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ესენი გადააყენეთ და იმათ მაგიერ სხვები ამოირჩიეთო. ამ განცხადებამ დიდი ბაასი გამოიწვია. კრებამ კენჭი უყარა ამ განცხადებას, მიღებულ იქმნას იგი თუ უარ-ყოფილ— საზოგადოებამ 63 ხმით 16 წინააღმდეგ უარ-ჰყო იგი.

მერე საზოგადოება შეუდგა არჩევანებს. წილი ჰყარეს გამგეობის წევრთა შორის და რიგი გასვლისა ჰხვდა გამგეობის წევრს ვ. რ. ყიფიანს; ხოლო საბჭოს წევრთა შორის-კი ნ. თ. ხიზანაშვილსა და თავ. ი. გ. ბარათაშვილს. ყველა ესენე საზოგადოებამ ისევე დასტოვა ერთ-ხმად თავ-თავისს თანამდებობაზედ, ერთხმადვე ამორჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის წევრებად ისინი, რომელნიც წინად იყვნენ.

დასასრულ კენჭი უყარეს იმ საგანს, რომ საყვედური და განკიცხვა გამოეცხადოს თუ არა იმ 15 წევრს, რომელთაც უსაბუთოდ განცხადება შემოიტანეს გამგეობის ერთის წევრისა და საზოგადოების საბჭოს სამის წევრის დათხოვნის შესახებაო. დათვალეს კენჭები და 45 ხმა იმ აზრისა აღმოჩნდა, რომ საყვედური და განკიცხვა უნდა გამოეცხადოსო, ხოლო 1 ხმა—არაო, ეს ერთი ხმაც შეცდომით ჩავარდნილიყო ყუთში შავს მხარეს, როგორც გამომჟღავნდა.

კრება ამითი გათავდა.

დაწვრილებით შემდეგ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ქორეისუბანი** (სენაკის მაზრა). ჩვენი სოფელი, რომელშიაც 70 კომლი კაცი სცხოვრობს, გაშენებულია წყლის პირად; ეს რამდენიმე წელიწადია, რაც რიონი მასდგა ამ სოფელს და დღე დღეზედ აურას უქადის, მაგრამ სოფლელები ყურსაც არ იბერტყავენ.

70 კომლს კაც-შორის, ერთი მეორეზედ რომ გაანგარიშოთ, თითოეულს ექნება სამ-სამი ქცევა სამოსახლო ეზო გაშენებული, (სხვა სოფლებსავით ღარიბი არ არის ეს სოფელი მიწა-ადგილით). ეს სულ შეადგენს 210 ქცევას. თითოეული ქცევა ეღირება ასი მანეთი, მაშასადამე, ამ სოფლის სამოსახლო ადგილები ღირებულა 21,000 მან. ორასი ქცევა სახნავ-სათესი ადგილი იქნება, რომელიც ზედ სოფელზედ არის მოდებული, და რომელსაც წყალი აღებას უქადის. თვითეული ქცევა ეღირება 80 მანეთი და მთლად კი 16,000 მან. ამას გარდა, როდესაც წყალი ჭყრის სოფელს, ბინა უნდა გამოიცვალონ და სხვაგან გადასახლდნენ; მარტო მოსახლობის გადატანისათვის თითოეულს კომლს მოუვა ხარჯი და შრომა არა ნაკლებ ოთხის თუმნისა და მთელს სოფელს-კი 2,800 მან. ამასთან წყალი წაახდენს საყდარს, რომელიც სოფელშია, და ახალი საყდრის აგება, თუნდა ხის შენობაც რომ ააგონ, ათას მანეთზედ ნაკლები ხომ არ დაჯდება. საერთო ჯამი ზარალისა იქნება: 21,000 მ.+16,000 მ.+2,800მ.+1,000=40,800 მან.

ეხლა იმას არ ვკითხავთ, რა დაუჯდებოდა სოფელს, ამ ზარალის თავიდგან აცდენა, რომ მოენდომებინა? ორი ათასი მანეთიც არ არის საჭირო. იქნება სთქვან, რომ ორის ათასის მანეთის ერთად გადახდა ძნელია სოფლისათვის და უთუოდ ამიტომ უფრთხიანო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა საქმე კიდევ უფრო იოლად მოეწყოთ. ზამთარში სოფლის კაცი თითქმის არაფერს ჰმუშაობს; განსაკუთრებით-კი სოფ. ქორეისუბნის მცხოვრებლები, რომლებიც ზამთრობით იმის მეტს არას აკეთებენ, რომ წაღმა-უკუღმა ცეცხლს ეფიცხებიან და ყალიონ პირში-გამოჩრილები ან ზღაპრებს ამბობენ და ან კიდევ სოფლის დედაბრების გამოგონილ ჭორების გამო თავ-გამოდებით ბაასობენ. აი ამ დროს, შეეძლოთ მოეტეხათ ქვა, მოეტანათ წყლის პირას, იქ, სადაც უფრო სცემს წყალი, და მერე ოსტატი კაცი ხუთას მანეთად გააკეთებდა დამბას. ამგვარად შესაძლებელი იყო, წყლისათვის სხვა მიმართულება მიეცათ და სოფელი მოსალოდნელ უბედურებისაგან დაეხსნათ. მაგრამ ამას გაგება და ანგარიში უნდა და საიდგან უნდა იანგარიშოს ეს ქორეისუბნელმა კაცმა, როდესაც ღმერთს მისთვის ათის თითის მეტი არ მიუცია და მისი ანგარიშიც ამას არ წასცდება?!

ერ. კიწმარიშვილი.

## წერილი კავკავიდგან.

ამ თვის 15-დგან კავკავის ქართველობას ეძლევა შეძლება დასტკბეს სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენით. მისმა უწმიდესობამ, კავკავის ეპისკოპოსმა დართო ნება პატივცემულ მღვდელს ბაკურაძეს, რომ ქართულად ასრულდეს ღვთის-მსახურება აქაურ სასაფლაოს ეკკლესიაში. იმისდა მიუხედავად, რომ ეკკლესია ცოტა მოშორებით არის, ქართულ წირვა-ლოცვას დანატრულებული ქართველობა მაინც დიდის სიხარულით დაიარება. მაგალითად, კვირას, 16 მარტს, იმდენი ხალხი იყო, რომ უადგილობისა გამო, ნახევარზე მეტი იძულებული გახდა გარეთ მდგარიყო და ისე მოესმინა წირვა. კამბილეევკის ქართველობას სიშორე არაფრად ჩააგდო (სოფ. კამბილეევკა მდებარეობს 6—7 ვერსის მანძილზედ კავკავიდგან და იქ დასახლებულნი არიან საქართველოდგან უადგილობის გამო გადმოსახლებული ქართველები) და ბლომად ამოსულიყვნენ, რომ, დიდის ხნით მოწყვეტილნი ქართულ წირვა-ლოცვას, ეხლა მაინც დამტკბარიყვნენ. ბევრს მათგანს სიამოვნებით უბრწყინავდათ თვალები.

წირვის დროს ჰგალობდა აქაური ქართულის სასწავლებლის მოსწავლეთაგან შემდგარი გუნდი მასწავლებლის ბ-ნ ლ. ბოცვაძის ლოტბარობით. რა თქმა უნდა, აქაურ ქართველობას სიამოვნებას აგრძნობინებდა თავიანთის შვილების გალობა, მაგრამ მაინც არ შემიძლიან გავჩუმდე და არ მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომლის თავიდგან აცილებაც დიდად სასიამოვნო იქნება. კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ მათს გალობას და, უნდა გამოვტყდე, ვერავითარს წარმატებას ვერ ვამჩნევ, სასურველია, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. მართალია, პატივცემულს ლ. ბოცვაძეს ისეც ბევრი საქმე აქვს, მაგრამ კარგს იზამდა ამ გარემოებასაც ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს. აგრეთვე არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ აქაურ ქართველ მასწავლებლებსაც შეეძლოთ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ბ-ნ ბოცვაძისთვის, რომელსაც, როგორც ვთქვით, ისეც ბევრი საქმე აქვს... მართალია, ეს იმათ პირდაპირს მოვალეობას არ შეადგეს, მაგრამ რა სახსენებელია ამისთანა საქმეში „პირდაპირი მოვალეობა“?!..

როგორც ამბობენ, ქართული წირვა-ლოცვა მთელს დიდ-მარხვას გასტანს და იქნება სამუდამოდაც იქმნას შემოღებული, თუ კავკავის ქართველობა შეიძლებს საკუთარის საყდრის აგებას. ამ ჟამად შინ თუ გარეთ სულ ამის შესახებ ლაპარაკობენ. საეკკლესიო ადგილსაც ასახელებენ; თუმც არა გადაჭრით. ჩვენის აზრით, ამ საქმეს რიგიანი მოფიქრება უნდა. იმედიცა გვაქვს, რომ ამ საქმის სათავეში მდგომნი რიგიანს ყურადღებას მიაქცევენ, ასწონ-დასწონავენ და საქმეს ისე მოჰკიდებენ ხელს.

კახელი

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გიმნაზიაში შეამცირონ ბერძნულ ენის გაკვეთილების რიცხვი.

— სასულიერო უწყება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, მთელს რუსეთში დაარსებულ იქმნას სახელოსნო სკოლები მღვდელ-მთავართა და საზოგადოდ ეკკლესიის მსახურთა შვილებისათვის, რომელთაც, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, სწავლა არ მიუღიათ სასულიერო სასწავლებლებში. ამ სკოლებში უნდა ასწავლონ: წიგნის კაზმვა, ფეხთ-საცმელისა და ტანთ-საცმელის კერვა, დურგლობა და სხვანი.

— სახელმწიფო რკინის გზათა მთავარ-სამართველოში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ რკინის გზის სადგურების უფროსებსა და იმათ თანაშემწეთ ჯამაგირი მიემატოსო.

— საერო განათლების სამინისტრომ მისწერა სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს, რომ, თუმცა მართალია, 1896 წლის 19 ივნისს გამოცემულ ბრძანებით დაბალ სასწავლებლების ბიბლიოთეკებს ნება ჰქონდათ მხოლოდ იმ წლის ჟურნალების დაბარებისა, რომელთაც თვით სამინისტრო განიხილავდა და ნებას დართავდა, მაგრამ ამიერიდგან წიგნთსაცავებს უფლება ეძლევათ სამინისტროს ნება-დაურთველად დაიბარონ ახალი ჟურნალებიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ ჟურნალი სალიტერატურო და საპოლიტიკო-კი არ არის, არამედ სპეციალურია და 2) თუ ეს ჟურნალი ერთხელვე მოწონებულია კომიტეტის მიერო.

— მაისში სტოკჰოლმს გაიმართება მსოფლიო გამოფენა, რომელზედაც, რა თქმა უნდა, რუსეთიდგანაც გაჰგზავნიან სხვა-და-სხვა ნაწარმოებს. მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ სტოკჰოლმში გაგზავნილ საქონელზედ რკინის გზებმა ერთი-ორად ნაკლები ფასი აიღონ.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზეთები ოსმალეთის მხედრობის რაოდენობის შესახებ შემდეგს დაწვრილებით ცნობებს იუწყებიან:

მუდმივი ჯარი და პირველი რიგის რედიფი (სათადარიგო ჯარისკაცნი) 279 ბატალიონს შეადგენენ, თითოეულს ბატალიონში 600 კაცი ირიცხება; სულ 167,400 კაცი. მეორე რიგის რედიფი 200 ბატალიონს შეადგენს ანუ 120.000 კაცს.

---

სამწუხარო, მაგრამ უნამდვილესი, ფაქტი გამომემჟღავნებინა, გამხადა იმითი, რომ ასტეხა ჩვენ წინააღმდეგ პოლემიკა, უსაბუთოდ ბეჭდა და აბეჭდინა თავისს მარქაფებს მთელის ექვსის თვის განმავლობაში და შემდეგშიაც ჭორი, სიცრუე, ინსინუაცია, და ყოველი ღონისძიება იხმარა, რათა საზოგადოების თვალში დავემცირებინე და ამით თავისი თავი აემაღლებინა და როდესაც ჩვენ, გაბეზრებულმა ყველა ამითი, ჭეშმარიტების გამოქვეყნებით ვუპასუხეთ, ჩავაგდეთ იგი სწორედ იმ ორმოში, რომელსაც ჩვენ გვითხრიდა, იგი ალივსო ჩვენდამი უკურნებელი ბოროტებით და მზად არის თვით ინტერესი ქართულის ენისაც შესწიროს ამ ბოროტების დაკმაყოფილებას.—

ბ-ნი გიორგი წერეთელი არ ამბობს და ვერც იტყვის, (თუმცა ცდილობს-კი, რომ ეს აფიქრებინოს მკითხველს), ვითომც ჩვენ სახსრის მოსაპოებლად დაგვეწყოს ქართულის სახელმძღვანელოების შედგენა, რადგანაც კარგად იცის შემდეგი ფაქტები:

1) როცა ხელი მივჰყავით ქართულის წიგნების გამოცემას, ჩვენ გვეჭირა ოფიციალური თანამდებობა ჯერ მასწავლებლისა და მერე უფროსისა, რომელიც გვაძლევდა საკმაო სახსარს ცხოვრებისასა. ამის გამო ჩვენ 1865 წლიდგან, როდესაც გამოვეცით პირველი ქართული წიგნი, 1876 წლამდე, როდესაც სამსახური დავკარგეთ, არავითარს ჯილდოს არ ვიღებდით წიგნებში. წიგნის ხარჯის ფულს ემატებოდა მხოლოდ გამომცემლის მოგება.

2) როცა სამსახური დავკარგეთ და სახელმძღვანელონი გახდნენ ერთად-ერთ სახსრად ცხოვრებისათვის, მაშინაც მათ ვყიდდით ბევრად უფრო იაფად, ვიდრე უცხო ქვეყნის პედაგოგები. მაგალითად: „დედა-ენა“ თავისი სივრცით და შემკობილობით თითქმის სამჯერ დიდია „Родное Слово“-ზედ (რომელშიაც 100 გვერდია, 28 სტრიქონიანი, მაშინ, როდესაც „დედა-ენა“ იპყრობს 224 გვერდს და თითო გვერდზედ 33 სტრიქონია) და სომხურს დედა-ენაზედ, რომელთაგან პირველი ავტორის სიცოცხლის დროს იყიდებოდა შვიდ შაურად და ახლა იყიდება ექვს შაურად, როგორც „დედა-ენა,“ და მეორე-კი შვიდ შაურად ღირს დღესაცა.

3) ჩვენი ქართული დედანი ბლომად იყიდებოდა და დიდი მოთხოვნილებაც იყო მისი; მაგრამ ჩვენ იგი მთლად შევუერთეთ „დედა-ენასა“, რათა წერა-კითხვის სწავლება ქართველის ხალხისათვის ერთი-ორად გაგვეიაფებინა. წინად „დედა-ენაში“ აძლევდნენ ექვსს შაურსა და ამდენსავე „დედანში“ იხდიდნენ, ახლა-კი ორივეში ხარჯვენ მხოლოდ ექვს შაურსა. ამითი ჩვენ მოვისპეთ არა მარტო შემოსავალი დედნისა, არამედ „დედა-ენის“ გონორარიც იმდენადვე შევამცირეთ, რამდენადაც წიგნის სიდიდემ და ხარჯმა იმატა. ჩვენ ბევრს მოვაკლდით, ხალხმა მოიგო, მაშასადამე...

4) ჩვენ ყოველთვის კვალში ვუდექით უკულმართობას ხალხის განათლებაში, შეძლების დაგვარად მაღლა გვეჭირა დროშა პედაგოგიის პრინციპებისა, ვამჟღავნებდით და ვმარტავდით მიმართულებას ერთის მავნე ქარისას, თუმცა ვიცოდით, რომ ყველა ამას შეეძლო ევნო ჩვენი სახელმძღვანელოებისათვის და სახსარიც ცხოვრებისა დაეშრო ჩვენთვის.

ასე, რომ სახელმძღვანელოების შედგენა იყო მხოლოდ ერთი შტო ჩვენის მოქმედებისა ხალხის განათლების ასპარეზზედ. ხოლო რამ გამოგვიყვანა ამ ასპარეზზედ, ამის საიდუმლო წარმოსცდა ამ თხუთმეტის წლის წინად „დროებაში“ ბ-ნს გიორგი კურდღელაშვილს, რომელმაც ერთს თავისს წერილში გაურია ასეთი ფრაზა: „ღმერთმა სავსებით შეასრულებინოს გოგებაშვილს თავისი მოწოდებაო“.

„კვალის“ ბატონი-კი, იმის მაგივრად, რომ განაძლიეროს ქართველთა შორის მოწოდების პრინციპი, გამოიწვიოს ხალხის განათლების ასპარეზზედ მოწოდების კაცნი, უხმობს, გაჰკივის და იწვევს მათ, ვინც გამსჭვალულნი არიან სახსრის ტრფიალითა, კუჭის პრინციპითა და ცნობილ ქარის ერთგულ მოსამსახურედ გამოდგებიან.

ხოლო მოწოდების გამეფება ყველა სფეროში არა მარტო საზოგადოებისთვის არის სანატრელი და სასარგებლო, რადგანაც იგი შეუძლებლად ხდის სწორე გზიდან გადახვევას, მოვალეობის ღალატს მომქმედის პირის-მიერ, არამედ თვითონ ამ პირებისათვისაც. ევროპიის გამოჩენილი მეცნიერთა თხზულებაში არა ერთგან ამოიკითხავთ იმ აზრსა, რომ კაცი, რომელიც მოწოდებით შრომობს, და მაშასადამე უყვარს თავისი აღრჩეული საგანი, ბევრად უფრო მეტს ტანჯვას იტანს, უფრო დიდხანს უძლებს პირ-უტყულს დევნას სულდაბალი ინტრიგანებისას, ბევრად გვიან ტყდება გულით, ვიდრე ის, რომელიც გამსჭვალულია პრაქტიკული, ეგოისტური მისწრაფებითა, ნივთიერი ინტერესითა.

— და აი სწორედ ამ ნივთიერის ინტერესის გამეფებას უწყობს ხელს „კვალი“, როდესაც სიხარულით ეგებება მოწონებას იმისთანა წიგნაკისას, რომელიც შეადგენს მეოთხედს „დედა-ენისას“ და რომელიც კარგს იარაღს აძლევს ხელში ქართულის ენის შემოკლებისას, დამცირებისას სკოლებში.

(დასასრული იქნება)

ამ ნაირად ოსმალეთის ჯარის-კაცთა რიცხვი 287,400 უდრის. თუ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი ასტყდა, ეს ლაშქარი ასე იქმნება განაწილებული: კონსტანტინეპოლისა და სრუტეების დასაცველად 50 ბატალიონს დააყენებენ; ბოლგარიის საზღვრებზედ 40 ბატალიონს გაჰგზავნიან; სერბიის საზღვრებზედ—35 ბატალიონს; ალბანიაში 20 ბატალიონს დასტოვებენ; მაკედონიის ქალაქებში 20 მეცხოვნე ბატალიონს ჩააყენებენ; სალონიკში 10 ბატალიონს გაჰგზავნიან; ეგეის ზღვის კუნძულებზედ—10 ბატალიონს; სმირნაში,—20 ბატალიონს; მცირე-აზიაში, განსაკუთრებით იმ პრავინციებში, საცა სომხები სახლობენ,—50 ბატალიონს; სირიასა და არაბეთში—35 ბატალიონს. ამ ნაირად საბერძნეთის წინააღმდეგ ომში 157 ბატალიონი მიიღებს მონაწილეობას, ანუ 94,200 კაცი.

ოსმალეთის ლაშქრის წეს-წყობილების კარგად მცოდნე კაცები-კი ამტკიცებენ, რომ მცირე აზიასა და სირიაში თითოეულს ბატალიონში 200—250 კაცზედ მეტი არ არისო, ხოლო მაკედონიაში—400—450 კაცს არ აღემატებაო.

## დამაკვირდი

ვინც მე მომტაცებს კეთილს სახელს, მომპარავს იმას, რაც თვით ვერ გაამდიდრებს და მე-კი დამაღარიბებს.

შექსპირი.

**

კარგად დაწყება საქმისა ნახევრად გაკეთებაა მისი.

არისტოტელი.

**

ცხოვრება კარგია, მხოლოდ არა ის, რომელიც ვიცით, არამედ ის, რომელიც არ ვიცით, არა წარსული, არამედ ის, რომელიც მომავალ არს.

ნიცშე

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

დიდი ხანია ცნობილია, რომ მხიარულობა ყოველ წამალზედ უკეთესია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა მხიარულება მეტად სასარგებლო ყოფილა ბავშვებისთვის. ერთს ინგლისელს ექიმს უილიამ უელსს გამოუკვლევია, როგორ ჰმოქმედებს ბავშვების ხასიათსა და ჯანმრთელობაზედ დედის მხიარული ხასიათი. უელლი ამტკიცებს, თუ ბავშვს თვალწინ მხიარული დედა-ჰყავს, ბავშვიც მხიარულია და ჯან-საღი, და თუ დედა ყოველთვის მოწყენილია და დაღვრემილი, ბავშვიც მოწყენილია, ანჩხლი და უფრო ხშირად ავადმყოფობს. ბავშვს ეს თუ ის ხასიათი დაბადებით-კი არ დაჰყვება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ, თან-და-თან შემუშავდება იმის მიხედვით, რა ხასიათისა არიან ბავშვების დედა, მისი ნათესავნი და მომვლელნი. მკურნალი უელლი ამბობს, მრავალ მდიდარსა და ღარიბ ოჯახში მიდევნებია ბავშვებისთვის თვალ-ყური და დავრწმუნდი, რომ თუ დედა მხიარულის ხასიათისაა, ბავშვი ყოველთვის ჯანსაღი და მხიარული ყოფილა და ადვილად აუტანია სხვა-და სხვა ავადმყოფობა. რომელ ოჯახშიაც-კი დედა მუდამ დაღვრემილია, მოწყენილი ან მეტად დარბაისლურად უჭირავს თავი ბავშვებთან, არ აძლევს თამაშობის ნებას და სასტიკად ექცევა, ამ ოჯახში ბავშვიც მოწყენილია, ანჩხლი და ხშირად ავადმყოფობს. უელლს აგრეთვე ყურადღება მიუქცევია სასწავლებლებისთვის და დარწმუნებულა, რომ სადაც ბავშვების აღმზრდელად მხიარულის ხასიათის ადამიანი ყოფილა, იქ უფრო მეტი ჯან-საღი ბავშვი აღმოჩენილა.

უელლმა დაჰბეჭდა თავისი საყურადღებო და ყველა ოჯახს ურჩევს, თუ გნებავთ, რომ ჯან-საღი ბავშვები გაგეზარდოთ, მუდამ მხიარულად იყავით, ეთამაშეთ ბავშვებს, გაართეთ და გააცინეთ ხოლმეო, გარწმუნებთო, სწერს ეს მკურნალი, რომ მხიარულება ბავშვებისთვის უფრო საუკეთესო წამალია, ვიდრე ის წამლები, აფთიაქში რომ აკეთებენო.

***

პარიჟში დაარსებულა კლუბი ქალების გასალამაზებლად. უმთავრესი საშუალება გალამაზებისა, ამტკიცებენ, ბანაობა არისო. ამბობენ, რომ სახედარის რძე ადამიანის კანს ძლიერ არბილებს და ალამაზებსო. კარგია აგრეთვე ნესვის წვენი, ვარდის წყალიო და სხ. დედოფალი მარია ანტუანეტა ყოველ დღე ბანაობდა ნელ-თბილ წყალში, რომელშიაც ჰყრიდნენ სუნნელოვან ბალახებს, მარილს, ბრინჯსა და ქერს. განთქმული ლამაზი ქალები დიდს ფულსა ჰხარჯავდნენ ბანაობაზედ. ქ-ნი ნინონ-დე-ლონკლო თბილ წყალს აზავებდა რძითა, მარილითა და თოვლით. ქ-ნი ტალიენი ყოველ დღე სწურავდა რძეში 20 გირვანქა მარწყვსა და სამ გირვანქა მაყვალს და ამ გვარად შეზავებულ რძეში ჰბანაობდა.

პარიჟის ახალ კლუბის წევრ-ქალებს განზრახვა აქვთ ყველა ზემოხსენებულ საშუალებას მიჰმართონ და იმედი აქვთ, ამ გვარად სიბერემდე სილამაზე შეგვრჩებაო. მართალია ერთს გამოჩენილს მკურნალს უთქვამს ამ კლუბის წევრთათვის, სუფთა წყალი ყველა მაგ საშუალებას სჯობიაო, მაგრამ ქალები აბა თავისას რას დაიშლიან და მერე კიდევ ახლად დაარსებულ კლუბის წევრნი. სხვა არა იყოს-რა იმას ხომ იტყვის ხალხი, აი ეს ქალი ყოველ დღე რძეში ბანაობს და იმიტომ არის ლამაზიო. ესეც დიდი რამ არის თავ-მომწონე ლამაზ ქალისათვის.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მარტი

**პარიზი.** პალატა. გოტიემ ლაპარაკი აღძრა აღმოსავლეთში მომხდარ ამბავთა შესახებ და განაცხადა, ვწუხვარ, რომ საფრანგეთი ოსმალეთს შეუერთდა საბერძნეთის წინააღმდეგაო. ჰანოტომ უთხრა საპასუხო სიტყვა, რომელსაც დიდის ტაშისკვრით მიეგებნენ. ეს საქმე ამითი დაბოლოვდა.

**ბერლინი.** ნანსენის პატივსაცემლად სადღესასწაულო კრება ჰქონდა საგეოგრაფიო საზოგადოებას. მინისტრმა ბოსსემ აუწყა კრებას, რომ იმპერატორმა ნანსენს დიდი ოქროს მედალი უწყალობაო ზედ წარწერით: „ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის“, ხოლო ბარონ რიხტგოფენმა—ნანსენი საგეოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად იქმნა ამორჩეული და საზოგადოების მიერვე ებოძა ოქროს „მედალი ჰუმბოლდტისაო“.

**ვენა.** გარდაიცვალა კომპოზიტორი იოჰან ბრამსი.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით აუწყებენ კანეადგან: „ადმირალები თანახმანი არიან დასთანხმდნენ ვასოსის პირობას ოსმალეთის ტყვეთა გარდაცემის შესახებ, სახელდობრ იმას, რომ ამ უკანასკნელთ აღეკრძალოთ ამიერიდგან ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით აუწყებენ „Morning Post“-ს, რომ ილდიზ-კიოსკში მომხდარ მინისტრთა საბჭოში განხილულ იქმნა სულთანის წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობამ კრიტში ავტონომია გამოაცხადოს და ნება დართოს ევროპიელის გუბერნატორად დანიშვნისაო. კრიტიდგან ოსმალეთის ჯარის გაყვანის საქმე არ განუხილავს საბჭოს.

**კონსტანტინეპოლი.** მინისტრთა საბჭოში განხილულ იქმნა ის გავრცელებული ხმები, რომ მომავალს 25 მარტს საბერძნეთს ჰსურს ომი და ბრძოლა ასტეხოსო. გარდასწყვიტეს, რომ სავანგებო სამხედრო და საპოლიციო ღონის ძიებანი იქმნას მიღებული.

ელჩებმა ერთობლივად სცადეს, რომ სივასის ვალის თანამდებობა მიეცეს არა სახელ-გატეხილს ჰასსან-ფაშას, როგორც ამბობენ, არამედ სრულიად წუნ-დაუდებელს მოხელეს, და ამასთან მოითხოვონ, რომ აქაურნი წარჩინებულნი მოხელენი დაეხმარნენ კაიმაკან ქრისტიანეთაგანს საიდ-ბეს, რომელიც ხაჯინ-ადანის მაზრაშია დანიშნული.

პორტას მიერ სომეხთა საპატრიარქოს სასარგებლოდ ბოძებულ შეღავათმა სრულიად არ დააკმაყოფილა იგი. ამის გამო შერეულმა საბჭომ დაადგინა, პატრიარქი კვლავ ეცადოს, რომ ახალნი ბრძანებანი გამოაცემინოს პორტასაო.

**კონსტანტინეპოლი.** სივასის მაზრის გუბერნატორად დანიშნული ჰასსან-ფაშა უკვე წავიდა თავისს სამსახურის ადგილას. ელჩებს იმედი აქვთ, რომ შეცვლილ იქმნება ბრძანება იმის გუბერნატორად დანიშვნის შესახებაო.

24 მარტი

**ოდესსა.** კრიტს წავიდა გემი „ხერსონი“. ამ გემზედ ჟიტომირის მე-56 ქვეითა რაზმის მეორე ბატალიონია—657 ჯარის-კაცი, 15 აფიცერი, ექიმი და 20 ცხენი ბარგის საზიდავად. სევასტოპოლში გემს სამთო არტილერია მიემატა.

**რომი.** დიდმა სახელმწიფოებმა მისწერეს ადმირალებს ათინის ყურეს ალყა შემოარტყითო. ადმირალები ამ ჟამად შესაფერ ღონისძიებათა შესახებს თათბირში არიან.

**ლონდონი.** საუტპორტს წარმოთქმულს სიტყვაში კერზონმა განაცხადა, რომ კრიტის ახალი გუბერნატორი ქრისტიანი იქნებაო. დიდნი სახელმწიფონი დაჰნიშნავენ. თუ საბერძნეთი ოსმალეთზედ მიიტანს იერიშს, იგი მეტად დიდს ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენს, ისეთს დიდს, როგორის ჩადენის ძალ-ღონეც-კი აქვსო.

**კანეა.** 23 მარტს დაუწყეს ბაშიბუზუკებს იარაღის აყრა. სოფ. კალიკუტის ბაშიბუზუკებმა უარი განაცხადეს, იარაღს არ დავანებებთო, და ამის გამო სოფელს ევროპის ჯარი შემოერტყა გარს.

**ბელგრადი.** ბოლგარიის მთავარი 14 აპრილს მოვა აქა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

I.

ერთმა საბრალო და საზიზღარმა ადამიანმა თქვენის გაზეთის საშუალებით დასწვა უცეცხლოდ ის ვებერთელა ორ-სართულიანი სახლი, რომელშიაც მე ვცხოვრობ და მასთან დამწვა აგრეთვე სრულიად უდანაშაულოდ მეცა. იმისის სიტყვით, 500 კაცი გარს ეხვევოდა იმ სახლს, რომელშიაც მე ვიყავი და ვწიოდი, ყველას ვემუდარებოდი შველას, ხსნას, მაგრამ ამაოდ. აი, ამ გვარი ამბავი შესთხზა და ამ ამბით თავს ზარი დასცა და შეაწუხა ყველა ჩემი ნათესავები, ნაცნობები და მეგობრები. რამდენიმე დეპეშა და წერილი მივიღეთ, როგორც სამძიმრისა, აგრეთვე მილოცვისაც იმათგან, რომელთაც შეეტყოთ სიცრუე ამ ამბისა. რადგანაც მე ავადმყოფობისა გამო არ შემიძლიან ყველას თითოეულად წერილი მივწერო, ამიტომ ვკადნიერდები და თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადეს მადლობასა ვსწირავ ყველა იმათა, რომელთაც თანა-უგრძნეს ჩემს ცრუდ ნაამბობს უბედურებას.

თამარა თავართქილაძისა.

ოზურგეთი.

II.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ შვილებითურთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სამძიმარი გამოუცხადეს ჩემის ქმრის გარდაცვალებისა გამო.

ნატალია იაკობის ასული ქორქაშვილისა.

III.

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გავახსენოთ ბ-ნ ი. პ. როსტომაშვილს, რომ თიანელებიც ითვლებიან მის მიერ წარსულის 1896 წლის გამოცემულ 18 წიგნის ხელის მომწერლებად და მოუთმენლად ელიან მისგანვე დაპირებულს „ქართველთა ტომი“-ს ალბომს, რომელიც, როგორც თითონ აცხადებდა, დიდი ხანია გამოსულია და არ ვიცით-კი რა მიზეზია, რომ არ გვეგზავნება.

მ. ი. აბრამიშვილი

## განცხადებანი


თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (10)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (5)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა საჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა



ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.

ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117. 20—6.—9)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Марта 1897 г. სტამბა ქ. მარტიროსის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.